კავკასიის უნივერსიტეტი

სამართლის სკოლის სამეცნიერო ჟურნალის დებულება

ქ. თბილისი
2026

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 2
მუხლი 2. ჟურნალის მიზნები და ამოცანები 2
მუხლი 3. მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია 2
მუხლი 4. ნაშრომის მიღებისა და შერჩევის წესი 4
მუხლი 5. ნაშრომის წარდგენის წესი, გაფორმების სტანდარტი 5
მუხლი 6. ნაშრომების წარმოდგენა, პლაგიატის შემოწმება და რეცენზირება 10
მუხლი 7. ნაშრომის გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტა 12
მუხლი 8. პუბლიკაციის ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერება და დარღვევებზე რეაგირება 13
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები 14
დანართი №1. ფარული რეცენზირების ანგარიშის ფორმა 15

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის სამართლის ჟურნალი“ / ”Caucasus Law Journal”, (საერთაშორისო სტანდარტული სერიული ნომერი: ISSN 3088-4446, e-ISSN 3088-4454) წარმოადგენს საერთაშორისო რეცენზირებად პერიოდულ გამოცემას.
1.2. ჟურნალის ოფიციალური გამომცემელია შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“.
1.3. ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ორჯერ, ინგლისურ ენაზე. ჟურნალის მიზნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სპეციალური (დამატებითი) ნომრის მომზადება და გამოცემა.
1.4. ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება უსასყიდლოა; გამოქვეყნება მოიცავს როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ გამოქვეყნებას. ნაშრომზე საავტორო უფლებები რჩება ავტორს, რომელიც ჟურნალს ანიჭებს ნაშრომის პირველად გამოქვეყნებისა და შემდგომი არაექსკლუზიური გავრცელების უფლებას, შესაბამისი საგამომცემლო შეთანხმების საფუძველზე. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
1.5. ჟურნალი უზრუნველყოფს გამოქვეყნებულ ნაშრომებზე დაუყოვნებელ ღია წვდომას, საფასურისა და რეგისტრაციის გარეშე. ნაშრომები ქვეყნდება Creative Commons Attribution 4.0 International (CC BY 4.0) ლიცენზიით, ავტორის შესაბამისი თანხმობის საფუძველზე. აღნიშნული ლიცენზია ნებადართულს ხდის ნაშრომის გამრავლებას, გავრცელებას, თარგმნას, გადამუშავებასა და კომერციულ გამოყენებას, ლიცენზიით განსაზღვრული ატრიბუციისა და სხვა პირობების დაცვით. მესამე პირთა კუთვნილ მასალებზე, რომლებზეც აღნიშნული ლიცენზია არ ვრცელდება, მოქმედებს შესაბამისი უფლებებისა და ნებართვების პირობები.
1.6. წინამდებარე დებულება პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე: **https://cu.edu.ge/schoolss/school-of-law/csl-research/kavkasiis-samartlis-zhurnali-caucasus-law-journal-clj**

მუხლი 2. ჟურნალის მიზნები და ამოცანები

2.1. ჟურნალის მიზანია სამართლის დარგში პრაქტიკული, სამეცნიერო და შედარებით-სამართლებრივი კვლევების პუბლიკაცია, ასევე აკადემიური დისკუსიის გაღრმავების ხელშეწყობა.
2.2. ჟურნალის ამოცანაა საერთაშორისო დონეზე მაღალი სამეცნიერო სტატუსისა და ავტორიტეტის მოპოვება და ნიშნის დაკავება, რაც საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო ჟურნალებს უკავიათ.
2.3. ჟურნალი უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით ქართული სამართლის ევროპულ და საერთაშორისო სამართლის სივრცეში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას და ინტერნაციონალური სამეცნიერო პლატფორმის ჩამოყალიბებას, ასევე კვლევითი მიმართულებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგის ექსპერტების – ავტორებისა და რეცენზენტების მოზიდვას.
2.4. ჟურნალში შესაძლებელია გამოქვეყნდეს: აკადემიური მიმოხილვა (რეცენზია); სამეცნიერო სტატია და სამართლის პრაქტიკის ანალიზი.

მუხლი 3. მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია

3.1. ჟურნალის საქმიანობას ორგანიზებას უწევს ჟურნალის რედაქცია, რომელიც შედგება: მთავარი რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიისგან.

3.2. **მთავარი რედაქტორი** პასუხისმგებელია ჟურნალის საერთო სამეცნიერო ხარისხსა და რედაქციული საქმიანობის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად წარმართვაზე.

3.3. მთავარ რედაქტორს, სამართლის სკოლის საბჭოს წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი. რედაქტორს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ჟურნალის საქმიანობაში სათანადო გამოცდილება.

3.3.1. მთავარი რედაქტორი, დარგობრივი მიმართულებების გათვალისწინებით, ახორციელებს მაღალკვალიფიციური მკვლევარების მოზიდვას და გამოცემის პოპულარიზაციას.

3.3.2. ანაწილებს მოვალეობებს სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის.

3.3.3. დამოუკიდებლად წარმოადგენს ჟურნალს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3.3.4. უზრუნველყოფს სარედაქციო კოლეგიის სხდომების ორგანიზებასა და ჩატარებას.

3.3.5. უზრუნველყოფს სამეცნიერო სტატიების კონკურსის გამოცხადებისა და მიღების პროცედურების განხორციელებას.

3.3.6. აკადემიური წერის ცენტრთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს სამეცნიერო სტატიების ანტიპლაგიატის პროგრამით (Turnitin) შემოწმებას.

3.3.7. უზრუნველყოფს რეცენზენტების შერჩევას და ახორციელებს სარეცენზიო საქმიანობის შინაარსობრივ-ორგანიზაციულ წარმართვას, სტატიების ფარულ რეცენზირებაზე გაგზავნას.

3.3.8. ჟურნალის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, სკოლის დეკანთან/სკოლის საბჭოსთან ერთად უზრუნველყოფს სარედაქციო კოლეგიის წევრების პერიოდული შეკრებების ორგანიზებას.

3.3.9. უზრუნველყოფს ჟურნალის ტექნიკური რედაქტირების პროცესის კოორდინირებას; მათ შორის, თითოეული გამოსაქვეყნებელი სამეცნიერო სტატიისთვის ციფრული ობიექტის უნიკალური იდენტიფიკატორის (Digital Object Identifier – DOI) მინიჭებასა და მის სათანადო მითითებას სტატიის ელექტრონულ და ბეჭდურ ვერსიებში.

3.3.10. უზრუნველყოფს ჟურნალის სარედაქციო პროცესის საერთო კოორდინირებას (წარმართავს და უზრუნველყოფს ჟურნალის გეგმაზომიერ ოპერაციულ საქმიანობას, საგამომცემლო ვადების კონტროლს, დათქმულ ვადებში ნაშრომთა კონკურსის გამოცხადებას და მიღების პროცედურებს).

3.3.11. უზრუნველყოფს ავტორებთან კომუნიკაციას ელექტრონული და სატელეფონო საშუალებებით, მათთვის დადგენილი ხარვეზების გაცნობას, ასევე სტატიის განხილვისა და გამოქვეყნების შემდგომი ეტაპების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

3.3.12. უზრუნველყოფს კომუნიკაციას ეროვნულ და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან, მათ შორის ჟურნალის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირების მიზნით.

3.3.13. განსაზღვრავს ჟურნალის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს.

3.3.14. ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგიის სხდომებს, წარმართავს დისკუსიას, უზრუნველყოფს სხდომის დღის წესრიგის დაცვას, განსახილველი საკითხების ობიექტურ და მიუკერძოებელ განხილვასა და სხდომის ორგანიზებულ წარმართვას.

3.4. ჟურნალს ტექნიკურ-საგამომცემლო საქმისთვის ემსახურება დამხმარე სარედაქციო პერსონალი: ენობრივი კორექტორი, დამკაბადონებელი, დიზაინერი და სხვა.

3.4.1. **სარედაქციო კოლეგიას** ხელმძღვანელობს მთავარი რედაქტორი, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 9 (ცხრა) წევრით.

3.4.2. სარედაქციო კოლეგია დაკომპლექტებულია ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერებისგან, სამართლის დარგში აღიარებული აკადემიური პერსონალისა და პრაქტიკოსი იურისტებისგან, რომლებსაც აქვთ აღიარებული სამეცნიერო ან პროფესიული გამოცდილება სამართლის შესაბამის დარგში.

3.4.3. სარედაქციო კოლეგიის წევრს უნდა ჰქონდეს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და სამეცნიერო პუბლიკაციები. გამონაკლისის სახით, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე პირი სარედაქციო კოლეგიის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს, თუ იგი არის Scopus-ში, Web of Science Core Collection-ში ან ERIH PLUS-ში ინდექსირებული ან სხვა საერთაშორისო რეცენზირებადი სამართლის სამეცნიერო ჟურნალის მოქმედი მთავარი რედაქტორი და აქვს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო საქმიანობის დადასტურებული გამოცდილება.

3.5. **სარედაქციო კოლეგიის უფლებამოსილებებია:**

3.5.1. მონაწილეობა მიიღოს ჟურნალის სამეცნიერო და სარედაქციო პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში.

3.5.2. ხელი შეუწყოს ჟურნალის სამეცნიერო ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარებასა და ჟურნალის პოპულარიზაციას.

3.5.3. საჭიროების შემთხვევაში, მთავარ რედაქტორს გაუწიოს კონსულტაცია ცალკეული ნაშრომების სამეცნიერო ხარისხის, თემატური შესაბამისობისა და რეცენზირების საკითხებზე.

3.5.4. რეკომენდაცია გაუწიოს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე რეცენზენტებს და მონაწილეობა მიიღოს სპეციალური ნომრების თემატური მიმართულებების შემუშავებაში.

3.5.5. მონაწილეობა მიიღოს საგამომცემლო ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალის სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში.

3.5.6. მთავარი რედაქტორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, ამ დებულებით დადგენილი წესით განსაზღვროს შესაბამისი ნაშრომის სარედაქციო განხილვასა და მის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი წევრი.

მუხლი 4. ნაშრომის მიღებისა და შერჩევის წესი

4.1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად მიიღება ნაშრომები, რომლებიც მეცნიერული სიახლის შემცველია და ეხება სამართლის აქტუალურ საკითხებს.

4.2. სტატია შეიძლება წარდგენილ იქნეს ინდივიდუალურად ან თანაავტორობით. ერთი სტატიის ავტორთა საერთო რაოდენობა, ყველა თანაავტორის ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხ) პირს.

4.2.1. სტატიის გამოსაქვეყნებლად წარდგენის უფლებამოსილებით სარგებლობენ შემდეგი პირები: კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი; საქართველოს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, უცხოური საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების პროფესორ-მასწავლებლები; დამოუკიდებელი მკვლევარები, დოქტორანტები, პრაქტიკოს-იურისტები.

4.3. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ნაშრომების შერჩევა ხდება ღია კონკურსით ან სარედაქციო შემადგენლობის წევრის მიერ ავტორის სპეციალური მოწვევის საფუძველზე.

4.4. კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ჟურნალის ელექტრონულ პლატფორმაზე (Open Journal Systems – OJS) და სოციალურ მედიაში შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით.

4.5. კონკურსის თითოეული ეტაპი, მათთვის განსაზღვრული ვადები და ჩატარების პროცედურა განისაზღვრება ჟურნალის რედაქციის მიერ, რომელსაც მონიტორინგს უწევს ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

მუხლი 5. ნაშრომის წარდგენის წესი, გაფორმების სტანდარტი

5.1. საავტორო განაცხადისა და გამოსაქვეყნებელი ნაშრომის წარდგენა ხორციელდება ჟურნალის ოფიციალური ელექტრონული პლატფორმის (Open Journal Systems – OJS) მეშვეობით. პლატფორმის ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს ხდის ნაშრომის წარდგენას, ავტორი უფლებამოსილია საავტორო განაცხადი და ნაშრომი ალტერნატიული წესით გაგზავნოს ჟურნალის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: csljournal@cu.edu.ge. ამ წესით მიღებული ნაშრომის შემდგომ აღრიცხვას ელექტრონულ პლატფორმაზე უზრუნველყოფს ჟურნალის რედაქცია. ნაშრომის წარდგენის დამატებითი ტექნიკური წესები შეიძლება განისაზღვროს ავტორთა გზამკვლევით ან ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5.2. სამეცნიერო ნაშრომი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ტექსტს, სიძულვილის ენას, არაეთიკურ შეფასებებსა და შეურაცხმყოფელ მოსაზრებებს, პიროვნულ კრიტიკას.

5.3. ნაშრომის შინაარსი უნდა იქნეს გადმოცემული მესამე პირთა პერსონალური მონაცემის დაცვით.

5.4. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს MS Word-ის ფორმატში, შესრულებისას გამოიყენება Times New Roman-ის ფონტი, ნაშრომის მოცულობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს, შრიფტის ზომა – 11 და დაშორება – 1.0. კიდეების ზედა და ქვედა ზღვარი უნდა იყოს: 2.5 სმ, მარცხნივ და მარჯვნივ 2.5 სმ.

5.5. ჟურნალში ციტირების, სქოლიოებისა და ბიბლიოგრაფიის გაფორმება ხორციელდება წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

5.6. დაუშვებელია ჟურნალში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებში პლაგიატი. ავტორმა უნდა უზრუნველყოს ნაშრომში მოცემული ინფორმაციის წყაროს ზუსტი და სწორი მითითება.

5.7. ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

5.7.1. **ავტორის შესახებ ინფორმაციას:** სახელსა და გვარს, აკადემიურ ხარისხს (არსებობის შემთხვევაში), ინსტიტუციურ აფილაციას (არსებობის შემთხვევაში), აკადემიურ ან პროფესიულ თანამდებობას ან სტატუსს და ORCID იდენტიფიკატორს. ინსტიტუციური აფილაციის მითითებისას უნდა აღინიშნოს შესაბამისი დაწესებულების ოფიციალური დასახელება და ქვეყანა. ინსტიტუციური აფილაციის არქონის შემთხვევაში ავტორს შეუძლია მიუთითოს დამოუკიდებელი მკვლევრის სტატუსი (Independent Researcher). აღნიშნული ინფორმაცია მიეთითება თითოეული ავტორისთვის საავტორო განაცხადში და

გამოქვეყნებულ სტატიაში. განაცხადში დამატებით მიეთითება თითოეული ავტორის სრული საფოსტო მისამართი, ქვეყანა და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

5.7.2. **სათაურს** (სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს გამუქებული ფონტით).

5.7.3. **აბსტრაქტს,** რომლის მოცულობა უნდა შეადგენდეს 200–250 სიტყვას და ასახავდეს კვლევის მიზანს, მეთოდოლოგიას, ძირითად მიგნებებსა და დასკვნებს.

5.7.3.1. ჟურნალში გამოქვეყნებულ თითოეულ სამეცნიერო სტატიას უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საინფორმაციო ბლოკები, რომლებიც მოიცავს ამ დებულების 5.7.1–5.7.4 პუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას. ქართულენოვანი აბსტრაქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს ინგლისურენოვან ვერსიას, თუმცა სიტყვათა იდენტური რაოდენობის დაცვა სავალდებულო არ არის

5.7.3.2. უცხოელ ავტორებს არ ეკისრებათ ქართულენოვანი საინფორმაციო ბლოკის მომზადების ვალდებულება. შესაბამისი ინფორმაციის ქართულად თარგმნასა და ენობრივ გამართულობას უზრუნველყოფს ჟურნალის რედაქცია.

5.7.4. **საკვანძო სიტყვებს** (Keywords): 4-6 საკვანძო სიტყვას ან ტერმინს, რომლებიც ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსსა და საკვლევ საკითხებს. საკვანძო სიტყვები არ უნდა იმეორებდეს სტატიის სათაურს მთლიანად ან არსებითად.

5.7.5. **შესავალს** (მოიცავს ნაშრომის აქტუალობას).

5.7.6. **ძირითად ტექსტს.**

5.7.7. **დასკვნას** (მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებს, სამომავლო პერსპექტივებს).

5.7.8. ნაშრომის დასასრულს, გამოყენებული **ლიტერატურის ნუსხის წინ, სავალდებულო წესით უნდა განთავსდეს შემდეგი სამი დამოუკიდებელი დეკლარაცია:** დაფინანსების შესახებ ინფორმაცია (Funding), ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია (Conflict of Interest) და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დეკლარაცია (Declaration of Generative AI Use). თითოეულ დეკლარაციაში ავტორმა უნდა მიუთითოს შესაბამისი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. დაფინანსების არსებობის შემთხვევაში მიეთითება დამფინანსებელი ორგანიზაცია და, არსებობის შემთხვევაში, საგრანტო ნომერი; ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში – მისი ხასიათი; ხოლო გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემთხვევაში – გამოყენებული სისტემის დასახელება და გამოყენების მიზანი. აღნიშნული დეკლარაციების წარდგენა სავალდებულოა ყველა სამეცნიერო სტატიისთვის

5.8. სქოლიოების გაფორმებისას გამოიყენება Times New Roman-ის შრიფტი, ზომა – 9 pt, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1.0.

5.9. **აბრევიატურები** (აკრონიმები), ძირითადი ტექსტის გაფორმებისა და ციტირების სტანდარტები.

5.9.1. **ციტირება:**

5.9.1.1. ნაშრომში დასაშვებია საყოველთაოდ მიღებული და დარგობრივად დამკვიდრებული აბრევიატურებისა და აკრონიმების გამოყენება. ნაკლებად ცნობილი აბრევიატურა ან აკრონიმი პირველი გამოყენებისას უნდა განიმარტოს სრული დასახელების მითითებით, რომლის შემდეგაც ფრჩხილებში მიეთითება შესაბამისი აბრევიატურა ან აკრონიმი. შემდგომ ტექსტში შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად გამოყენება.

5.9.1.2. ნორმატიული აქტის ციტირებისას მიეთითება მისი სრული დასახელება, მიღების თარიღი, ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ოფიციალური გამოქვეყნების ან

ხელმისაწვდომობის წყარო. ელექტრონული წყაროს გამოყენების შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი ოფიციალური ან სხვა სანდო ელექტრონული რესურსი.

5.9.1.3. ლათინური ტერმინები და სხვა არაინგლისურენოვანი გამოთქმები, საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იყოს დახრილი შრიფტით (Italic). ნაკლებად ცნობილი ტერმინის მნიშვნელობა განიმარტება ძირითად ტექსტში ან სქოლიოში, კონტექსტისა და კვლევის მიზნის გათვალისწინებით.

5.9.1.4. სათანადოა მითითება, თუ ციტატა მოიყვანება ბრჭყალებში და სქოლიო ფორმდება ქვემოთ მოცემული წესების მიხედვით. პერიფრაზის ან ცალკეული აზრის ფორმირების წყაროს მითითებისას გამოიყენება შესაბამისი სიტყვა: „იხ.“ ან „შეად.“. „შეადარე“ მაშინ გამოიყენება, როდესაც ავტორს სჭირდება განსხვავებულ აზრზე მითითება.

5.9.1.5. ძირითად ტექსტში დასაშვებია მხოლოდ ნაშრომის სათაურთან უშუალო კავშირში მყოფი ან ასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ინფორმაციისა თუ ანალიზის მითითება. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია, მიეთითოს სქოლიოში.

5.9.1.6. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები – წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები დაისმის ბრჭყალის წინ, როდესაც ისინი ასრულებენ წინადადებას და ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას.

5.9.1.7. როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი (თუ სქოლიო არ ეკუთვნის ბრჭყალის შიგნით რომელიმე ტერმინს); ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: 1. სასვენი ნიშანი, 2. ბრჭყალი, 3. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში კი შეიძლება მათი განსხვავებული ნორმების გამოყენება.

5.10. ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:

5.10.1. **წიგნისთვის** – მთელი წიგნის მითითებისას აღინიშნება ავტორის გვარი და ინიციალი (ინიციალები), წიგნის სრული სათაური (ბრჭყალების გარეშე), გამოცემის ნომერი (პირველის გარდა, არსებობის შემთხვევაში), ტომი (არსებობის შემთხვევაში), გამოცემის ადგილი, წელი და გვერდების საერთო რაოდენობა.

მაგალითი: Dixon M., Textbook on International Law, 7th ed., Oxford, 2013, 393.

5.10.2. წიგნის კონკრეტული გვერდის ან გვერდების დიაპაზონის მითითებისას აღინიშნება ავტორის გვარი და ინიციალი (ინიციალები), წიგნის სრული სათაური (ბრჭყალების გარეშე), გამოცემის ნომერი (პირველის გარდა, არსებობის შემთხვევაში), ტომი (არსებობის შემთხვევაში), გამოცემის ადგილი, წელი და გამოყენებული გვერდის ნომერი ან გვერდების დიაპაზონი („გვ.“ აღნიშვნის გარეშე).

მაგალითი: Johns L., *Politics and International Law: Making, Breaking, and Upholding Global Rules*, Cambridge, 2022, 55–71.

5.10.3. **კრებულში გამოქვეყნებული სტატიისთვის** – მიეთითება სტატიის ავტორის გვარი და ინიციალი (ინიციალები), სტატიის სრული სათაური (ბრჭყალების გარეშე), კრებულის სრული სახელწოდება (ბრჭყალების გარეშე), რედაქტორის გვარი და ინიციალი (ინიციალები), შესაბამისი აღნიშვნით „რედ.“, ტომი (არსებობის შემთხვევაში), გამოცემის ადგილი, წელი და გამოყენებული გვერდის ნომერი ან გვერდების დიაპაზონი („გვ.“ აღნიშვნის გარეშე).

მაგალითი: Bouwer K., The United Kingdom. The Oxford Handbook of Climate Change and Private Law, Kysar D.A., Lim E. (eds.), New York, 2026, 590–606.

5.10.4. **ჟურნალის სტატია:** მიეთითება ავტორის გვარი და ინიციალი (ინიციალები), სტატიის სრული სათაური (ბრჭყალების გარეშე), ჟურნალის სრული დასახელება ან დამკვიდრებული აბრევიატურა (ბრჭყალების გარეშე), გამოქვეყნების წელი, ტომი, ნომერი (არსებობის შემთხვევაში) და სტატიის გვერდების დიაპაზონი ან კონკრეტული გამოყენებული გვერდი („გვ.“ აღნიშვნის გარეშე).

მაგალითი 1: Bassiouni M.Ch. A Draft International Criminal Code and Draft Statute for an International Criminal Court. J. Connecticut Insurance Law Journal Association at the University of Connecticut School of Law, 2019, 5, 8, 315-373.

მაგალითი 2: ზოიძე ბ., სამართლებრივი უსაფრთხოება: ცნება და გამოხატვის ფორმები (უპირატესად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი), „საჯარო სამართლის ჟურნალი“, № 1/2024, 5.

5.10.4.1.ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი სამეცნიერო სტატიებისა და სხვა ელექტრონული წყაროების ციტირებისას, ამ მუხლით განსაზღვრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, ელექტრონული მისამართისა და წყაროზე უკანასკნელი წვდომის თარიღის მითითება ხორციელდება ამ დებულების 5.14 პუნქტის შესაბამისად.

5.11. **საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებისათვის:**

5.11.1. სასამართლო გადაწყვეტილებების ციტირებისას გამოიყენება შესაბამისი სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ოფიციალური ციტირების სტანდარტი. ასეთი სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში, მითითება უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების ზუსტად განსაზღვრისა და მოძიებისთვის აუცილებელ მონაცემებს.

5.12. **ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებისათვის:**

5.12.1. აუცილებელია ოფიციალური ეროვნული სტილის შენარჩუნება. ერთგვაროვანი ეროვნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში ავტორმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი წესით:

5.12.2. სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას აუცილებელია ავტორმა დაიცვას შემდეგი სტილი: 1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია; 2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში; 3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში – და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები. მაგ. 1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-1163 (კ-18); მაგ. 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის ბრძანება და სააღსრულებო ფურცელი № 2/5856-19.

5.13. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი:

5.13.1. გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებგვერდები).

5.13.2. კონვენციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მითითება: კონვენციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები მიეთითება, მაგ. 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer, International Legal Materials, 1985, 1520.

5.14. **ელექტრონული წყაროების ციტირება:** ელექტრონული წყაროს მითითებისას აღინიშნება ავტორის გვარი და ინიციალი (არსებობის შემთხვევაში), წყაროს სრული სათაური (ბრჭყალების გარეშე) და შესაბამისი ვებგვერდის დასახელება (საჭიროების

შემთხვევაში). ელექტრონულ მისამართს წინ უძღვის აღნიშვნა „Available from:“, ხოლო მის შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში მიეთითება წყაროზე უკანასკნელი წვდომის თარიღი ინგლისურენოვანი ფორმატით: [Accessed 27 May 2025]. აღნიშნული თარიღი წარმოადგენს მხოლოდ ფორმატის ნიმუშს.

მაგალითი: Crawford J., The ILC’s Draft Statute for an International Criminal Tribunal. Available from: https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law/article/ilcs-draft-statute-for-an-international-criminal-tribunal/ED43650C2A7FBD3F88524F4562BD6AAC [Accessed 27 May 2025].

5.15. **ნათარგმნი წყარო:** შესაბამისი ნაშრომის ავტორის გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. ნაშრომის სრული სათაური (უბრჭყალებოდ). [ნაწილი, ნაკვეთი, ტომი], მთარგმნელის გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. ფრჩხილებში მიეთითება მისი სტატუსი (მთარგმნელი/მთარგმნელები), რედაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში „რედ“ ფრჩხილებში) გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. გამოცემის ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა. მაგ. 1. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგმნელები), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), მე-13, 2014, 530.

5.15.1. უცხოენოვანი წყაროების ბიბლიოგრაფიული მონაცემები მიეთითება ორიგინალის ან ავტორის მიერ გამოყენებული გამოცემის ენაზე. არალათინური დამწერლობის შემთხვევაში ავტორის სახელი და გვარი, ნაშრომის სათაური და სხვა შესაბამისი ბიბლიოგრაფიული მონაცემები გადმოიცემა ლათინური ტრანსლიტერაციით. არაინგლისურენოვანი ნაშრომის სათაურს კვადრატულ ფრჩხილებში დაერთვის ინგლისური თარგმანი. ოფიციალური ინგლისური სათაურის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება შინაარსობრივად ზუსტი თარგმანი. ტრანსლიტერაცია და თარგმანი უნდა შესრულდეს თანმიმდევრული და ერთგვაროვანი პრინციპით.

5.16. ბიბლიოგრაფიის გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ნაშრომის ძირითად ტექსტთან ერთად. ბიბლიოგრაფიის გაფორმებისას გამოიყენება Times New Roman-ის შრიფტი, ზომა – 10 pt, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1.0, აბზაცამდე დაშორება – 0 pt, ხოლო აბზაცის შემდეგ – 6 pt.

5.17. ბიბლიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი და კონსოლიდირებული ნუსხის სახით. წყაროები განლაგდება ავტორთა გვარების ანბანური თანმიმდევრობით, ხოლო ავტორის არარსებობის შემთხვევაში – წყაროს დასახელების მიხედვით. არალათინური დამწერლობის წყაროების ანბანური განლაგება განისაზღვრება შესაბამისი მონაცემების ლათინური ტრანსლიტერაციით. ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე ნაშრომი განლაგდება გამოქვეყნების წლის მიხედვით, უახლესიდან უძველესისკენ. სასამართლო პრაქტიკა (Case Law) გამოიყოფა დამოუკიდებელ განყოფილებად, რომელშიც გადაწყვეტილებები დაჯგუფდება სასამართლოების დასახელებების ანბანური თანმიმდევრობით, ხოლო თითოეული სასამართლოს ფარგლებში – ქრონოლოგიურად, უახლესიდან უძველესისკენ, შესაბამისი ოფიციალური ციტირების სტანდარტის დაცვით. სქოლიოებსა და ბიბლიოგრაფიაში გამომცემლობის დასახელება არ მიეთითება.

5.17.1. ინგლისური ენის გარდა სხვა ენაზე გამოქვეყნებული თითოეული წყაროს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის ბოლოს სავალდებულოა გამოქვეყნების ენის მითითება ინგლისურად, კვადრატულ ფრჩხილებში (მაგალითად: [in Georgian], [in German], [in French],

[in Italian]). აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის ციტირება ხორციელდება შესაბამისი სასამართლოს ოფიციალური სტანდარტით. ერთი და იგივე წყარო ბიბლიოგრაფიაში მიეთითება მხოლოდ ერთხელ, ხოლო კონკრეტული გამოყენებული გვერდები აღინიშნება შესაბამის სქოლიოებში.
5.17.2. წინამდებარე დებულებითა და ციტირების წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილი ნაშრომი არ გადაეცემა პლაგიატის შემოწმებისა და რეცენზირების ეტაპებზე. თუ ავტორი ამ დებულების 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ გამოასწორებს გამოვლენილ ხარვეზებს, ნაშრომის გამოქვეყნების საკითხი არ განიხილება.

მუხლი 6. ნაშრომების წარმოდგენა, პლაგიატის შემოწმება და რეცენზირება

6.1. სამეცნიერო ნაშრომის წარდგენის შემდეგ ჟურნალის მთავარი რედაქტორი ახორციელებს მის პირველად შეფასებას, რომლის ფარგლებშიც მოწმდება ნაშრომის შესაბამისობა ფორმალური დასაშვებობის მოთხოვნებთან, ციტირების სტანდარტებთან, ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკასთან, მიზნებსა და თემატურ პროფილთან. ამასთან, წინასწარ ფასდება ნაშრომის სამეცნიერო სიახლე, კვლევის აქტუალობა, მეთოდოლოგიური გამართულობა და საერთო აკადემიური ხარისხი.
6.2. მთავარი რედაქტორი უფლებამოსილია კონსულტაცია გაიაროს სარედაქციო კოლეგიის წევრთან ან შესაბამისი დარგის ექსპერტთან. აღნიშნული შეფასება წარმოადგენს პირველადი სარედაქციო დასაშვებობის ეტაპს და არ ანაცვლებს დამოუკიდებელ სამეცნიერო რეცენზირებას.
6.3. თუ ნაშრომს აქვს ტექნიკური ხარვეზ(ებ)ი და არ შეესაბამება წინამდებარე დებულებით მოთხოვნილ სტანდარტს, ამის შესახებ ეცნობება ავტორს და ეძლევა მას გონივრული ვადა (არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა) ხარვეზების გამოსასწორებლად.
6.4. ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ტექსტობრივი მსგავსების შემოწმება ხორციელდება Turnitin-ის სისტემით, რომლის საორიენტაციო ზღვრული მაჩვენებელი განისაზღვრება 20%-ით. აღნიშნული მაჩვენებლის გადაჭარბება არ იწვევს ნაშრომის ავტომატურ უარყოფას და საჭიროებს დამატებით შინაარსობრივ შეფასებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სათანადოდ მითითებული ციტატები, ბიბლიოგრაფიული მონაცემები, ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა სამართლებრივი მასალები. Turnitin-ის ანგარიში წარმოადგენს დამხმარე საშუალებას, ხოლო აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ნაშრომის შინაარსობრივი შეფასების საფუძველზე.
6.4.1. ნაშრომის დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაში იგი ანონიმიზებული სახით გადაეცემა არანაკლებ 2 (ორ) რეცენზენტს, რომლებმაც დასკვნები უნდა წარმოადგინონ 4 (ოთხი) კვირის ვადაში. დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში, მთავარი რედაქტორი უფლებამოსილია გააგრძელოს აღნიშნული ვადა. ეს ვადა ვრცელდება მხოლოდ რეცენზენტების დასკვნების წარდგენაზე და არ წარმოადგენს ნაშრომის შესახებ ჟურნალის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადას. ანონიმურობის პრინციპი დაცულია რეცენზირების მთელი პროცესის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგაც, მათ შორის რეცენზენტების დასკვნების ან სხვა დაკავშირებული მასალების გაცნობისა თუ გავრცელებისას.
6.5. საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის ინტერდისციპლინური ხელნაწერის შეფასებისას, მთავარ რედაქტორს შეუძლია ხელნაწერი შესაბამისი დარგის სათანადო კომპეტენციის მქონე

ერთ ან რამდენიმე დამატებით რეცენზენტს გადასცეს. თუ თავდაპირველი ორი რეცენზენტის რეკომენდაციები გამოქვეყნების საკითხზე არსებითად განსხვავდება, მათ შორის, როდესაც ერთი რეცენზენტი გამოქვეყნებას, ხოლო მეორე უარყოფას რეკომენდაციას უწევს, მთავარი რედაქტორი ხელნაწერს გადასცემს შესაბამისი დარგის სათანადო კომპეტენციის მქონე მესამე რეცენზენტს. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მთავარი რედაქტორი აფასებს ყველა რეცენზენტის დასკვნას ამ დებულების 7.1 პუნქტის შესაბამისად.
6.6. რეცენზენტი დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით შეირჩევა და შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი (პრაქტიკული ან/და კვლევითი) გამოცდილება/კვალიფიკაცია შესაფასებელი ნაშრომის კვლევის სფეროში. თუ ნაშრომი ინტერდისციპლინარულია, მისი შეფასებისათვის შეიძლება შეირჩეს შესაბამისი სხვადასხვა დარგობრივი კომპეტენციის მქონე რეცენზენტები.
6.7. სამეცნიერო ნაშრომის დროული შეფასების შეუძლებლობა ან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის არქონა, საჭიროებს რეცენზენტის მიერ მთავარი რედაქტორის წერილობით ინფორმირებას გონივრულ ვადაში.
6.8. რეცენზენტები ხელმძღვანელობენ ნაშრომის შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით და შეფასების წერილობით ანგარიშს ***(ფარული რეცენზირების ანგარიშის ფორმა - დანართი №1)*** წარუდგენენ მთავარ რედაქტორს გამოსასწორებელი ხარვეზების შესახებ ავტორების შემდგომი ინფორმირების მიზნით.
6.9. რეცენზენტი უფლებამოსილია, სარეცენზიო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ცალკეული რჩევით მიმართოს ჟურნალის მთავარ რედაქტორს, რაც არ ჩაითვლება შეფასების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპთა დარღვევად.
6.10. რეცენზენტების მიერ შესაძლებელია გაიცეს ერთ-ერთი რეკომენდაცია:
6.10.1. ნაშრომის გამოქვეყნება შესწორებების გარეშე
6.10.2. ნაშრომის გამოქვეყნება მცირე შესწორების შემდეგ;
6.10.3. ნაშრომის არსებითი გადამუშავება და ხელახალი რეცენზირებისთვის წარდგენა;
6.10.4. ნაშრომის გამოქვეყნებაზე უარის თქმა.
6.11. რეცენზენტის მიერ გაცემული ხარვეზის გამოსწორების რეკომენდაცია საჭიროებს შესაბამისი მითითებებისა და განმარტებების დართვას შეფასებულ ნაშრომზე.
6.12. თუ ნაშრომის გამოქვეყნებაზე რეცენზენტების მიერ გაიცა ნაშრომში ხარვეზის გამოსწორების რეკომენდაცია, მთავარი რედაქტორი წარმართავს ავტორთან კომუნიკაციასა და კოორდინირებას უწევს ავტორის მიერ ხარვეზის გასწორების პროცესს; მთავარი რედაქტორის მიერ ფასდება ნაშრომში ავტორის მიერ რეცენზენტების რეკომენდაციის გათვალისწინების ხარისხი.
6.13. ჟურნალის მთავარი რედაქტორის, სარედაქციო კოლეგიის წევრის ან საგამომცემლო საქმიანობაში მონაწილე სხვა პირის მიერ სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა არ წარმოადგენს მისი გამოქვეყნების დამაბრკოლებელ გარემოებას. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი პირი არ მონაწილეობს საკუთარი ნაშრომის რეცენზენტების შერჩევაში, შეფასების პროცესის წარმართვასა და გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მთავარი რედაქტორის მიერ ნაშრომის წარდგენის ან მასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, სარედაქციო კოლეგია განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის არმქონე დამოუკიდებელ წევრს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ნაშრომის სარედაქციო განხილვის წარმართვასა და მის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. ნაშრომის

განხილვა ხორციელდება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით.
6.14. მთავარი რედაქტორის გადაწყვეტილებით, ჟურნალის გამოცემის პერიოდულობის დაცვის უზრუნველსაყოფად, ნაშრომი შესაძლებელია გამოქვეყნდეს ჟურნალის მომდევნო ნომერში იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტთა ხარვეზების გასწორება დაკავშირებულია ხანგრძლივ დროსთან, რამაც შეიძლება შეაფერხოს ჟურნალის დროული გამოცემა ან არსებობს ნაშრომის მომდევნო ნომერში გამოქვეყნების სხვა ობიექტური საფუძველი.
6.15. ნაშრომის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ავტორს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, რეცენზენტთა ანონიმურობის პრინციპის დაცვით, ეგზავნება რეცენზენტების დასკვნა.
6.16. ნაშრომის გამოქვეყნებაზე ოფიციალური დასტური, ავტორის მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია გაიცეს ასევე ცნობის სახით.

მუხლი 7. ნაშრომის გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტა

7.1. ნაშრომის გამოქვეყნების ან გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რეცენზენტების დასკვნების, ნაშრომის სამეცნიერო ხარისხის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკასთან შესაბამისობის შეფასების საფუძველზე, გარდა ამ დებულებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებისა.
7.2. მთავარი რედაქტორი უფლებამოსილია კონსულტაცია გაიაროს სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ან შესაბამისი დარგის სხვა ექსპერტებთან. გადაწყვეტილების მისაღებად სარედაქციო კოლეგიის თანხმობა ან კენჭისყრა სავალდებულო არ არის.
7.3. ნაშრომის გამოქვეყნებაზე დადებითი გადაწყვეტილება გულისხმობს მის უცვლელად ან ავტორის მიერ ან მისი თანხმობით, რეცენზენტებისა და რედაქტორების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ გამოქვეყნებას.
7.4. ნაშრომის გამოქვეყნების ან გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ავტორს წერილობით ეცნობება ჟურნალის ოფიციალური ელექტრონული პლატფორმის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. გადაწყვეტილება და მისი ძირითადი საფუძვლები აღირიცხება ჟურნალის ოფიციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე ან შესაბამის სარედაქციო დოკუმენტაციაში.
7.5. გამოქვეყნებამდე ნაშრომი გადის ტექნიკურ და ენობრივ რედაქტირებას. რედაქცია უფლებამოსილია ავტორს შესთავაზოს ნაშრომის სათაურის, ცალკეული ფორმულირებებისა და ტექსტის სტრუქტურის დაზუსტება, მისი სამეცნიერო შინაარსის შენარჩუნებით. საბოლოო რედაქცია ეგზავნება ავტორს გასაცნობად.
7.6. სარედაქციო გადაწყვეტილების, მათ შორის, ნაშრომის გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სარედაქციო საქმიანობაში მონაწილე პირების მხრიდან არსებული ინტერესთა კონფლიქტი გაცხადებულ უნდა იქნეს წინასწარ, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში – ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისთანავე.

მუხლი 8. პუბლიკაციის ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერება და დარღვევებზე რეაგირება

8.1. ჟურნალის პუბლიკაციის ეთიკის წესები მიზნად ისახავს საგამომცემლო პროცესის წარმართვას აკადემიური კეთილსინდისიერების, სამეცნიერო დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლიანი საგამომცემლო საქმიანობის პრინციპების შესაბამისად.
8.2. ჟურნალის საგამომცემლო პროცესში მონაწილე ყველა პირი, მათ შორის ავტორი, რეცენზენტი, მთავარი რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი და სხვა ჩართული პირი, ვალდებულია დაიცვას აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპები.
8.3. ავტორი პასუხისმგებელია ნაშრომის ორიგინალურობაზე, მასში წარმოდგენილი ფაქტების, მონაცემების, დასკვნების, არგუმენტაციისა და გამოყენებული წყაროების სიზუსტეზე. დაუშვებელია პლაგიატი, თვითპლაგიატი, მონაცემთა გაყალბება ან ფალსიფიკაცია, დუბლირებული ან პარალელური პუბლიკაცია, ავტორობის არასწორი მითითება, ციტირების მანიპულაცია და აკადემიური კეთილსინდისიერების სხვა დარღვევა.
8.4. ავტორად მიიჩნევა მხოლოდ ის პირი, რომელმაც მნიშვნელოვანი ინტელექტუალური წვლილი შეიტანა კვლევის განხორციელებაში, ნაშრომის მომზადებაში ან მის არსებით აკადემიურ რედაქტირებაში. თანაავტორი, ავტორის მსგავსად, თანაბრად არის პასუხისმგებელი ნაშრომის შინაარსსა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაზე.
8.5. ხელოვნური ინტელექტის სისტემა არ შეიძლება ჩაითვალოს ნაშრომის ავტორად ან თანაავტორად. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემთხვევაში, ნაშრომის შინაარსზე, სიზუსტეზე, წყაროების მართებულობაზე და აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორს.
8.6. რეცენზენტი ვალდებულია ნაშრომი შეაფასოს ობიექტურად, მიუკერძოებლად და კონფიდენციალურობის სრული დაცვით. რეცენზენტს ეკრძალება რეცენზირების პროცესში მიღებული ინფორმაციის გამოყენება პირადი, პროფესიული ან სხვა არასათანადო მიზნით. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, რეცენზენტი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მთავარ რედაქტორს.
8.7. ნაშრომის მიღების, რეცენზირების, გამოქვეყნების ან გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ სარედაქციო გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ ნაშრომის სამეცნიერო ხარისხის, ორიგინალურობის, აქტუალობის, მეთოდოლოგიური გამართულობისა და ჟურნალის პროფილთან შესაბამისობის საფუძველზე, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.
8.8. ავტორი, რეცენზენტი, მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ვალდებულია წინასწარ, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განაცხადოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირი არ მონაწილეობს შესაბამისი ნაშრომის შეფასების ან გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
8.9. აკადემიური ეთიკის შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს ჟურნალის რედაქციას ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით და მოითხოვოს საკითხის შესწავლა.

სარედაქციო კოლეგია ვალდებულია განაცხადი განიხილოს გონივრულ ვადაში, შეისწავლოს შესაბამისი გარემოებები და, საჭიროების შემთხვევაში, ავტორს ან სხვა დაინტერესებულ პირს მისცეს განმარტების წარმოდგენის შესაძლებლობა.
8.10. აკადემიური ეთიკის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია, დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი რეაგირების ზომების გამოყენების შესახებ. გამოუქვეყნებელ ნაშრომთან დაკავშირებით საბოლოო სარედაქციო გადაწყვეტილებას იღებს მთავარი რედაქტორი ამ დებულების 7.1 პუნქტის შესაბამისად.
8.11. ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებებზე, შეფასებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელია ავტორი. ჟურნალი, მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია არ აგებენ პასუხს ავტორთა ინდივიდუალურ შეხედულებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება საგამომცემლო ეთიკის წესების დარღვევა ჟურნალის მხრიდან.
8.12. გამოქვეყნებულ ნაშრომთან დაკავშირებით დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებით აისახება ჟურნალის ოფიციალურ ელექტრონულ სივრცეში ან, საჭიროების შემთხვევაში, გამოცემის მომდევნო ნომერში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. დებულება ძალაში შედის სკოლის საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.
9.2. დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.
9.3. დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სამართლის სკოლის დეკანის მიერ.

დანართი №1. ფარული რეცენზირების ანგარიშის ფორმა

კავკასიის სამართლის ჟურნალი
რეცენზირების ანგარიში

ინფორმაცია სტატიის შესახებ (ივსება სარედაქციო ოფისის მიერ)

სტატიის სათაური, ხელნაწერის კოდი:

შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმი	დიახ	ნაწილობრივ	არა
1.	სამეცნიერო ნაშრომის თემა შეესაბამება ჟურნალის პროფილს	☐	☐	☐
2.	ნაშრომი გამოირჩევა მეცნიერული სიახლითა და ორიგინალურობით	☐	☐	☐
3.	ნაშრომს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შესაბამისი სამართლის დარგის განვითარებაში	☐	☐	☐
4.	ნაშრომის მიზნები და ამოცანები ნათლად არის ჩამოყალიბებული	☐	☐	☐
5.	კვლევის მეთოდოლოგია შეესაბამება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს	☐	☐	☐
6.	გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და სამართლებრივი წყაროები რელევანტური და სათანადოდ გაანალიზებულია	☐	☐	☐
7.	ნაშრომში წარმოდგენილი სამართლებრივი მსჯელობა და არგუმენტაცია ლოგიკური და დასაბუთებულია	☐	☐	☐
8.	დასკვნები და რეკომენდაციები გამომდინარეობს კვლევის შედეგებიდან და სათანადოდ არის დასაბუთებული	☐	☐	☐
9.	ნაშრომის სტრუქტურა გამართული და თანმიმდევრულია	☐	☐	☐
10.	ნაშრომი შეესაბამება აკადემიური წერისა და ციტირების მოთხოვნებს	☐	☐	☐

საერთო რეკომენდაცია

ზემოაღნიშნული შეფასების საფუძველზე, ვრეკომენდებ:

- ☐ გამოქვეყნება შესწორებების გარეშე
- ☐ გამოქვეყნება მცირე შესწორებების შემდეგ
- ☐ არსებითი გადამუშავება და ხელახალი რეცენზირებისთვის ხელახლა წარდგენა
- ☐ გამოქვეყნებაზე უარი (გამოსაქვეყნებლად არ არის რეკომენდებული)

რეცენზენტის შენიშვნები და რეკომენდაციები ავტორისთვის

კონფიდენციალური კომენტარი რედაქტორისთვის (არასავალდებულო)

თარიღი:

რეცენზენტი (ავტორისთვის ანონიმური):